როგორ იქმნებოდა საქართველო

მხარდამხარ - ანუ როგორ მოვედით აქამდე. ქართველი მუსლიმი მოღვაწეები

გაკვეთილის გეგმა ოჯახის/კლასებისთვის

ავტორი: მარიამ იმედაძე

გაკვეთილი მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს საქართველოს საერთო ისტორია და კულტურული მემკვიდრეობა.

2025

გაკვეთილის შესახებ:

გაკვეთილის შესავალი და მიზანი:

გაკვეთილის მიზანია ვისაუბროთ აქტიურ მოქალაქეზე, როგორც ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე. აქტიური მოქალაქის როლისა და მნიშვნელობის საილუსტრაციოდ განვიხილავთ აჭარაში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე აქტიურ წარმომადგენელს, რომელთა ქვეყნის სოციალურ- პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურმა მონაწილეობამ უდიდესი გავლენა იქონია მოქალაქეთა ერთიანობის განმტკიცებისა და თანამედროვე ქართული საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

მოსწავლეთა ორგანიზების ფორმები	გაკვეთილზე გამოყენებული მეთოდები
1. მასწავლებელი მუშაობს მთელ კლასთან; 2. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად.	1. გონებრივი იერიში; 2. დისკუსია; 3. პრობლემაზე ორიენტირებული მინი ლექცია

სასწავლო რესურსები	გაკვეთილის ხანგრძლივობა
1. ფურცელი და კალამი; 2. პროექტორი	45 – 90 წუთი.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

გაკვეთილი ტარდება სწავლების სამფაზიანი მოდელის მიხედვით. ეს მოდელი გულისხმობს გაკვეთილის იმგვარად დაგეგმვას, რომ ჯერ მოხდება საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებში არსებული წინარე ცოდნის გააქტიურება, შემდეგ ახალი ინფორმაციის გაგება - გაანალიზება და, ბოლოს, რეფლექსია. დეტალური ინფორმაციას სწავლების სამფაზიანი მოდელის შესახებ გაეცნობით ბმულზე.

გაკვეთილის მსვლელობა:

ფაზა I

1. მოსწავლეებისათვის გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა;

2. ინტერაქციული შეკითხვებით მოსწავლეებისათვის სამოქალაქო აქტივიზმის შინაარსის გახსენება

   - ვინ არის აქტიური მოქალაქე?
   - რა როლი გვაქვს თითოეულ ჩვენგანს საზოგადოებაში?
   - რამდენად საჭიროა მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტის პროცესში?

3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ აქტიური მოქალაქის მახასიათებლები) (**იხ. დანართი #1**).

4. მასწავლებელი, მოსწავლეებისგან მიღებული ინფორმაციის, საფუძველზე აყალიბებს აქტიური მოქალაქის მახასიათებლებს სამოქალაქო აქტივიზმის როლსა და მნიშვნელობას საზოგადოების წინაშე წარმოქმნილი საკითხების გადაწყვეტაში.

   - მასწავლებელი ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას აჭარის ისტორიის შესახებ ?
   - რა ვიცით აჭარის ისტორიაზე?
   - რა ვიცით აჭარაში განვითარებულ მოვლენებზე მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში?
   - რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩენილიყო ამ პერიოდის აჭარელი საზოგადოება?

5. მასწავლებელი აჯამებს მოსწავლეების იდეებს და აწვდის მათ ინფორმაციას მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში განვითარებული მოვლენების შესახებ: (რუსეთ-ოსმალეთის ომი, მუჰაჯირობა, საზოგადოებრივი მდგომარეობა აჭარაში განათლებისა და კულტურული მიმართულებით). გამოკვეთს რამდენიმე ძირითად პრობლემას სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებით და ასკვნის, რომ ამ პრობლემათა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა აჭარისა და აქ მცხოვრებთა შემდგომი განვითრების მიმართულებას. (ინფორმაცია, ვრცლად, ამ მოვლენების შესახებ იხილეთ თანდართულ მასალაში)

ფაზა II

1. ეს ფაზა იწყება შეკითხვით: მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რა როლი შეიძლება შეესრულებინათ აქტიურ მოქალაქეებს აჭარის სოციალური თუ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში და იქნებოდა თუ არა აქტიური მოქალაქეების მიერ ქვეყნის განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯები მისაბაძი/მაგალითის მიმცემი სხვა მოქალაქეებისათვის?

2. მასწავლებელი აჯამებს მიღებულ ინფორმაციას და აყალიბებს კონკრეტულ პუნქტებს, რომელთა შესრულებაც აუცილებელი იქნებოდა იმისათვის, რომ ამ ადამიანების მოღვაწეობა ნაყოფიერი და სამაგალითო ყოფილიყო საზოგადოების სხვა წევრებისთვის. (მაგალითად: მოსახლეობასთან განათლების აუცილებლობაზე, რელიგიურ და ეროვნულ საკითხებზე აქტიურად საუბარი, განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდისათვის ბრძოლა). შემდეგ კი მოსწავლეებს წარუდგენს პრეზენტაციას რამდენიმე კონკრეტული პიროვნების, მათი ნაკეთები სიკეთეებისა და საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ PP ფორმატით. (**იხ. დანართი #2**)

3. პრეზენტაციის შემდეგ, მოსწავლეები თამაშობენ ქვიზს (ქვიზი წარმოდგენილია PP პრეზენტაციის ბოლო სლაიდზე, ქვიზის პასუხებს მოსწავლეები ინიშნავენ ფურცელზე).

4. აღნიშნულის პარალელურად, მასწავლებელი ხაზს უსვამს გარემოებას, რომ პრეზენტაციაში განხილული ყველა პირი, სარწმუნოებრივად ისლამის აღმსარებელი იყო, თუმცა ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მათი ეროვნული კუთვნილების აღქმის სიმყარეში, საერთო საქვეყნო საქმიანობისთვის ბრძოლაში. პირიქითი, ისინი აქტიურად იბრძოდნენ სტიგმის წინააღმდეგ, რომ რელიგია და ეროვნება გაიგივებულიყო. ასევე, აღნიშნავს ქრისტიანი ქართველების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მნიშვნელობას, რომ რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად, ამ ადამიანებმა ერთობლივი ბრძოლითა და ურთიერთდახმარებით, საბოლოოდ, მიაღწიეს მოქალაქეებში ერთიანობის შეგრძნების გაღვიძებას, განსხვავებულის მიმართ მიმღებლობის გაზრდას და არ მისცეს საშუალება გარე ძალებს (ოსმალეთი, რუსეთის იმპერია) რელიგიური შუღლი ჩამოეგდოთ თანამოძმეებს შორის. სწორედ ამ ერთობამ გახადა შესაძლებელი ჰარმონიულად განვითარებულიყო და საბოლოოდ ჩამოყალიბებულიყო ერთიანი, და, ამავდროულად, მრავალფეროვანი ქართული საზოგადოება.

5. მასწავლებელი ხაზს უსვამს კონტექსტს, რადგან შექმნილ სოციალურ პირობებში რთული იყო ხმის ამაღლება. განათლებაზე მასობრივად ხელმიუწვდომელობა, რელიგიური თავისებურებები აშორებდა აჭარელ მოსახლეობას საზოგადოებრივ საქმეებს. ამასთან ერთად, რელიგიური სხვაობა ქრისტიან და მუსლიმ ქართველებში თესავდა ერთმანეთისადმი შიშს.

6. ბოლოს განიხილავს ქვიზის შედეგებს და აჯამებს მიღებული ინფორმაციას.

ფაზა III - რეფლექსია / შეჯამება

1. პირველ და მეორე ფაზაში ჩამოთვლილი საკითხების მოკლე მიმოხილვა და მათი ერთიან კონტექსტში წარმოდგენა.

2. ხაზგასმა იმისა, რომ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ჩართულობას, რომ აქტიური მოქალაქეები ხელს უწყობენ ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების საზოგადოების სასარგებლოდ გადაწყვეტას.

3. აღნიშვნა იმისა, რომ კონკრეტული მახასიათებლის განსხვავებულობის მიუხედავად (ამ შემთხვევაში რელიგია), საერთო ქართულმა ძალისხმევამ შექმნა საქართველოს გაერთიანებისა და განვითარების საფუძველი. სწორედ, ქრისტიანმა და მუსლიმმა ქართველებმა მხარდამხარ ბრძოლით შეძლეს მრავალფეროვანი გარემოს ჩამოყალიბება.

4. შეხსენება იმისა, რომ რელიგია და ეროვნება არ არის ერთი და იგივე და რომ შესაძლებელია, რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად ერთგულად ემსახურო შენს ქვეყანას;

5. კიდევ ერთხელ ხაზგასმა იმისა, რომ პრეზენტაციის დროს განხილული ადამიანების აქტიურმა მოქალაქეობრივმა პასუხისმგებლობამ და საქმიანობამ, საერთო საქვეყნო საქმეებისთვის ბრძოლამ, შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური საკითხების საქართველოს სასიკეთოდ გადაწყვეტა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს (რუსეთი, ოსმალეთი) არ მისცა მოსახლეობაში განხეთქილების ჩამოგდების საშუალება.

6. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო აერთიანებს ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან საზოგადოებას და თითოეულს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რომ ამ მრავალფეროვნებამ გახადა შესაძლებელი მოგვეღწია დღევანდელობამდე, შეგვექმნა უნიკალური კულტურა, რომელსაც, სწორედ, ეს მრავალფეროვნება ხდის უნიკალურს.

დანართი #1

მოქალაქეს, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ერთვება, ინტერესდება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებით, ჩართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში და იბრძვის საზოგადოების ყველა წევრის საკეთილდღეოდ ეწოდება აქტიური მოქალაქე.

აქტიური მოქალაქეები:

- მონიტორინგს უწევენ ხელისუფლებას;
- ახდენენ ყურადღების მობილიზებას პრობლემის ირგვლივ;
- იყენებენ მათ ხელთ არებულ საშუალებებს პრობლემის მოსაგვარებლად.

სარეკომენდაციო ხასიათის ბმულები:

1. რას ნიშნავს, ვიყო აქტიური მოქალაქე?
2. მოქალაქე, საზოგადოება, სახელმწიფო.

დანართი #2

პრეზენტაციის ბმული

პრეზენტაციის მასალა:			
გულო-აღა კაიკაციშვილი	ბმული	ზია-ბეგ აბაშიძე	ბმული
იუნუს წულუკიძე	ბმული	ასლან-ბეგ აბაშიძე	ბმული
ხასან თხილაიშვილი	ბმული	ჰაიდარ აბაშიძე	ბმული
მემედ აბაშიძე	ბმული	ფერიდე ნიჟარაძე	ბმული
„ქართველი მუსლიმი მოღვაწეები“		ბმული	

სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში

წარმოდგენილი მასალის მოსამზადებლად გამოყენებულია:
„სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები: აჭარა, ტომი III" - გვ: 43-80;

გარდა პროგრამით გათვალისწინებული საგაკვეთილო მასალისა, დამატებითი ინფორმაციის სახით ამ გაკვეთილზე გავეცნობით და ვისწავლით ინფორმაციას მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში აჭარაში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების იმ აქტიური წარმომადგენლების შესახებ, რომელებიც ავლენდნენ უმაღლეს სამოქალაქო პასუხისმგებლობას, აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხებში და, პარალელურად, ზრუნავდნენ თვითდამკვიდრებისა და საზოგადოებრივი სტიგმების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, რელიგია განსაზღვრავდა ეროვნებას.

აჭარაში ოსმალეთის ხანგრძლივმა ბატონობამ ქართველთა შორის ისლამის გავრცელება გამოიწვია, რაც შესაბამისად აისახებოდა მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ თავისებურებებზე. აჭარის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, უმნიშვნელოვანესი იყო მოსახლეობაში ეროვნული ერთიანობისა და თვითშეგნების იმგვარად გაძლიერება, რომ რელიგიურ საკითხს მასზე გავლენა არ მოეხდინა და რელიგია არ გაიგივებულიყო ეროვნულ კუთვნილებასთან. ეს კი იმ ფონზე, როცა ოსმალოფილი მოლები და სულთნის კარი დაინტერესებული იყო რელიგია გამოეყენებინა მთავარ ინსტრუმენტად, რითიც შეძლებდა აჭარაზე გავლენისა და მოსახლეობის მხარდაჭერის შენარჩუნებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო პარალელურად საგანმანათლებლო საქმიანობის წამოწყება და ქართულენოვანი სკოლების გახსნა, რათა მოსახლეობა დაუფლებოდა ქართულ ენას და კიდევ უფრო დაახლოვებოდა მის ისტორიულ სამშობლოს.

აღსანიშნავია ამ პერიოდის ქართული, განსაკუთრებით კი, აჭარის საზოგადოების წინაშე მდგარი საკითხები, კერძოდ: 1877-1878 წლების რუსეთ ოსმალეთის ომი შემდეგ, აჭარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადმოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში საქართველო წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ნაწილს და აჭარა ერთი დამპყრობლიდან მეორეს ხელში გადავიდა, ეს ფაქტი შეიძლება დადებითად შევაფასოთ, რადგან, მართალია, სხვა იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ამ პერიოდიდან აჭარა ერთიანდება დანარჩენ საქართველოსთან. რუსეთ-ოსმალეთის ამ ომში აჭარელთა პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ისინი კი ბრძოლას, როგორც ოსმალეთისგან გათავისუფლების შესაძლებლობას, ისე განიხილავდნენ და სწორედ მათი აქტიური ბრძოლის შედეგად მოხერხდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთება.

ომის შემდგომი ტრაგიკული მოვლენა იყო აჭარელი მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში. ამ პროცესს მუჰაჯირობა ეწოდება. ის განაპირობა ოსმალეთის და რუსეთის იმპერიის იმ ინტერესებმა, რომ ოსმალეთის იმპერიას სურდა დაუსახლებელი და აუთვისებელი ტერიტორიების დასახლება, მეურნეობის დარგში გამოცდილი მუშახელი, რომელიც შეძლებდა ახლად დასახლებული მხარეების ეკონომიკურად გამოცოცხლებას და ეს მოსახლეობა, ასევე, რუსეთთან შექმნიდა ომში ძლიერ საბრძოლო კონტინგენტს. ამ პროცესის ხელშემწყობად ოსმალეთის იმპერია იყენებდა სხვადსხვა საშუალებას - დაშინებას, მოსყიდვას, რელიგიური შიშის დათესვას, რომ ქრისტიანი დამპყრობელი, რუსეთის იმპერიის სახით, რელიგიის შეცვლას მოსთხოვდა მოსახლეობას, რომელშიც ისლამმა მოიკიდა ფეხი, ოსმალეთის მპყრობელობის პერიოდში.

თავისი ინტერესების შესაბამისად, რუსეთის იმპერია ხელს უწყობდა მუჰაჯირობის პროცესს იმ მიზნით, რომ დაცარიელებულ ტერიტორიაზე დაესახლებინა იმპერიის ერთგული მხარდამჭერები, ამით ის კიდევ ერთ მიზანს მიაღწევდა, რაც ამ ტერიტორიების რუსეთთან სრულ ასიმილაციას მოიაზრებდა.

თავიანთი მიზნის მისაღწევად ორმა იმპერიამ მუჰაჯირობის ოფიციალური თარიღიც კი გამოაცხადა - 1879 წლის 3 თებერვლიდან 1889 წლის 3 თებერვლამდე. მსურველებს 3 წლიანი ვადა ეძლეოდათ თავისუფლად დაეტოვებინათ ტერიტორიები.

აღნიშნული მოვლენა ურთულესი პერიოდი იყო საქართველოსთვის, რადგან ახლად შემოერთებულ ქართველ მოსახლეობას კიდევ ერთხელ უწევდა იმპერიული პოლიტიკის სიმძიმის საკუთარ თავზე გადატანა; მეორე მხრივ, კი ქართულ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ არაქართველი, იმპერიის ერთგული ოჯახები, რომლებიც, შესაბამისად, ატარებდნენ მათ ინტერესებს.

ამ რთულ პოლიტიკურ მდგომარეობას ემატებოდა მძიმე სოციალური პირობები, კერძოდ, გაუნათლებლობა, რის გამოც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოწყვეტილი იყო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობას, ადვილად ხდებოდა მანიპულაციის მსხვერპლი, რომელიმე იმპერიის სასარგებლოდ. ასევე, რელიგიურ განსხვავებულობას ქართველთა შორის ხშირად იყენებდნენ შუღლის ჩამოგდებისა და კონფლიქტური სიტუაციის შესაქმნელად ოსმალოფილი თუ რუსოფილი მოქალაქეები, რელიგიური პირები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს, არამედ მე-20 საუკუნის 20-იან წლებშიც (და, შემდეგაც) მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა აჭარაში. აქ ოსმალეთის იმპერია ცდილობდა ძველი გავლენების აღდგენას, რასაც ბუნებრივია ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერია. თუმცა, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით, რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები. ოსმალეთი საქართველოს მხრიდან მოითხოვდა ამ ტერიტორიების მისთვის გადაცემას და ბრესტის ზავის აღიარებას, რასაც ქართული მხარე არ თანხმდებოდა. საბოლოოდ, ოსმალეთმა დაიკავა აჭარა, ქართველებმა მათი შეჩერება მხოლოდ მდინარე ჩოლოქთან შეძლეს. საქართველო იძულებული გახდა დაედო ხელშეკრულება ოსმალეთთან,

რის შედეგადაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთს დარჩა. ამის შემდეგ იწყება გათავისუფლებისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელშიც, ასევე, უდიდესი წვლილი შეიტანეს ადგილობრივმა მოქალაქეებმა.

ბრესტის ზავი

ზემოთ განხილულ პროცესებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ აჭარელ მოქალაქეთა აქტიურობას, მათ ჩართულობას პრობლემების მოგვარების საკითხებში. ისტორიამ მრავალი აჭარელი მამულიშვილის სახელი შემოგვინახა, რომლებიც პირად ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებდნენ. დაუღალავად იღწვოდნენ ქვეყნის ერთიანობისა და განვითარებისთვის.

აჭარაში განვითარებული პროცესების განხილვისას აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი, მათი მხარდაჭერა მუსლიმი ქართველებისადმი, მათი ერთობლივი ბრძოლა საზოგადოებრივი სტიგმების წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ადამიანების შესახებ ინფორმაცია სასკოლო სასწავლო პროგრამაში არ გვხვდება და, შესაბამისად, ცოტამ თუ იცის მათი ნაკეთები სიკეთეების შესახებ, რომლებიც პირადი მაგალითით და ინიციატივებით უწყობდნენ ხელს საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვიძებას. მიუხედავად, იმისა, რომ ეს ადამიანები რელიგიური თვალსაზრისით ისლამის აღმსარებლები იყვნენ, მაქსიმალურად უშლიდნენ ხელს გარე ძალებს რელიგიურ ნიადაგზე ძმათა შორის შუღლის ჩამოგდების საქმეში, მოქმედებდნენ ეროვნული ინტერესების შესაბამისად და ამზადებდნენ ნიადაგს ქვეყნის ერთიანობისა და კეთილდღეობის შესაქმნელად. რელიგიას კი, როგორც მათი იდენტობის ნაწილს, როგორც ილია ჭავჭავაძემ თქვა, სინდისის საქმედ ტოვებენ. (იხ. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილი „მაჰმადიანთა გაქრისტიანება“) - აქ წარმოდგენილი ინფორმაცია მხოლოდ ნაწილია იმ მრავალრიცხოვანი აჭარელი სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრების შესახებ, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას).

ქართველი მუსლიმი მოღვაწეები

წარმოდგენილი მასალა, ქვემოთ განხილული პიროვნებების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მომზადებულია წიგნიდან „ქართველი მუსლიმი მოღვაწეები“. რედაქტორები: სოფო ზვიადაძე, ოქტაი ქაზუმოვი. „სოლიდარობის თემის“ დაკვეთით. 2025 წელი.

გულო-აღა კაიკაციშვილი - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნება ამ პერიოდში, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობა. ის ქობულეთიდან იყო და ცდილობა, რაც შეიძლება მეტ ქობულეთელს მიეღო განათლება. გულო-აღა აქტიურად იბრძოდა ოსმალეთის მიერ სქართველოსთვის წართმეული მიწების დასაბრუნებლად. ის აქვეყნებდა პატრიოტულ წერილებს იმ პერიოდის პრესაში, განსაკუთრებით ებრძოდა რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ გაჩენილ ახალ „სენს“ - მუჰაჯირობას, როცა, რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის ხელშეწყობით, მოსახლეობა ტოვებდა აჭარას და სახლდებოდა ოსმალეთის საზღვრისპირა რეგიონებში. ამ პროცესის შეჩერებაში მისი აქტიური მონაწილეობის შედეგად, ბევრმა ოჯახმა გადაიფიქრა გადასახლება. მის სახელთანაა, ასევე, დაკავშირებული ქობულეთში პირველი ქართულენოვანი სკოლისა და ბიბლიოთეკის გახსნაც. გულო-აღა მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა მუსლიმ ქართველებში ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. თავისი აქტიური სამოქალაქო პოზიციის გამო მას ილია ჭავჭავაძემ „აჭარის გული“ უწოდა.

იუნუს წულუკიძე - კიდევ ერთი აჭარელი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, უაღრესად განათლებული და მნიშვნელოვანი პიროვნება. ის კარგად იცნობდა იმ პერიოდში მოღვაწე ცნობილ ადამიანებს დავით კლდიაშვილს, ივანე კერესელიძეს, მემედ აბაშიძეს და სხვებს. 1919 წლიდან ის ერთვება აჭარის განმათავისუფლებელი კომიტეტის საქმიანობაში. სხვა მუსლიმ ქართველებთან ერთად აქტიურად იბრძვის ბათუმის ოლქის საქართველოს ფარგლებში დაბრუნებისათვის. ის, ასევე, აქტიურად უჭერდა მხარს აჭარაში ქართულენოვანი სკოლების გახსნასა და ქალებისათვის სასწავლებლის დაფუძნებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი იუნუს წულუკიძე ექვთიმე თაყაიშვილს დაეხმარა ეროვნული განძის დაბინავებასა და გაგზავნაში.

ხასან თხილაიშვილი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე. მისი აქტიური სამოქალაქო საქმიანობა პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იწყება, როცა ის ძმასთან ერთად იწყებს მძარცველების წინააღმდეგ ბრძოლას და მოსახლეობას ნაძარცვს უკან უბრუნებს. განსაკუთრებული წვლილი ხასან თხილაიშვილს ბრესტის ზავის დადების შემდეგ განვითარებულ მოვლენებში მიუძღვის. 1918 წლის 3 მარტს, ამ ზავის მიხედვით, რუსეთი ოსმალეთის სასარგებლოდ თმობდა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქებს; თუმცა, ფორმალურად, ამ ტერიტორიების კუთვნილების გადაწყვეტას, რეფერენდუმის ჩატარების გზით, ამ რეგიონების მოსახლეობის პრეროგატივად ტოვებდა. ოსმალეთის მიერ გატარებული ღონისძიებებით (მოსყიდვა, დაშინება, შანტაჟი) ბათუმის მოსახლეობის ნაწილი დათანხმდა ოსმალეთთან შეერთებას, თუმცა, ქობულეთში სხვაგვარად განვითარდა მოვლენები. ქობულეთში ხასანმა სხვა პატრიოტებთან ერთად ჩაშალა რეფერენდუმი. მან მოსახლეობას მიმართა სიტყვით: „ძმებო, აქ სარწმუნოების საკითხი არ წყდება. ჩვენ ქართველები ვართ და ქართველებად დავრჩებით ჩვენს მიწაზე. ამიტომაც ხმას ვაძლევ საქართველოს!“ მისი მაგალითით მოსახლეობამ ხმა მისცა საქართველოსთან დარჩენას. ხასანი დააპატიმრეს. მას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა, მაგრამ გააპარეს და გადარჩა. ის, ასევე, აქვეყნებდა პატრიოტული შინაარსის ლექსებს, ეწეოდა ფართო საგანმანათლებლო საქმიანობას. დიდია მისი ღვაწლი ქობულეთის რაიონში ქართულენოვანი სკოლების გახსნის საქმეში.

აბაშიძეთა საგვარეულოს, უდიდესი წვლილი მიუძღვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების, განათლებისა და კულტურის ხელშეწყობის საქმეში. ამ საგვარეულოს მრავალ თვალსაჩინო წარმომადგენელს შორის აღსანიშნავია ასლან-ბეგ აბაშიძის, ზია-ბეგ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის. ისინი აქტიურად ეხებოდნენ რელიგიისა და ეროვნების საკითხს, ხაზს უსვამდნენ მათი გამიჯვნის აუცილებლობას.

ზია-ბეგ აბაშიძე - იყო ქართველი მუსლიმი საზოგადო მოღვაწე, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. აქტიურად უჭერდა მხარს რევოლუციას და დამპყრობლისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებს უნერგავდა ახალგაზრდა ქართველ მუსლიმებს. "რაკი თვითმპყრობელობა ხალხს სულსა ხუთავს და ნებით არ გვითმობს, შევიარაღდეთ და იარაღით დავამხოთ მისი წყობილებაო" - აღნიშნავდა ის. მედრესეებში აბაშიძეთა საგვარეულოს სხვა წევრებთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს ავრცელებდა. აქტიურად იყო ჩართული „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" საქმიანობაში, რომლის მიზანიც ბათუმის ოლქის ადგილობრივ მოსახლეობაში პროქართული ორიენტაციის პროპაგანდა იყო. მან ჯერ კიდევ 1898 წელს, ოფიციალურად, განუცხადა ქალაქის თავს, რომ ის უსასყიდლოდ გადასცემდა თავის მიწებს იმ პირობით, თუ იქ ააშენებდნენ საავადმყოფოსა და ვაჟთა გიმნაზიას. დღევანდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რესპუბლიკური საავადმყოფო, სწორედ, ზია-ბეგ აბაშიძის ყოფილ მამულებშია აშენებული.

აბაშიძეთა საგვარეულოს კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია **ასლან-ბეგ აბაშიძე**. მას განსაკუთრებით აინტერესებდა სამხედრო საქმე. 24 წლის იყო, როცა ჩამოაყალიბა ბატალიონი და მალევე ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. თავისი აქტიური საქმიანობის გამო ის ხშირად იყო პოლიტიკური დევნის მსხვერპლი, თუმცა, მუდმივად შემართებით და ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ. 1918 წელს, სომხეთთან ომის პერიოდში, ასლან-ბეგ აბაშიძე ქართველ მუსლიმთა რაზმებს ხელმძღვანელობდა და ამავე პერიოდში დაინიშნა სამხედრო სამინისტროს დავალებათა ოფიცრად. ასლან-ბეგ აბაშიძე დამოუკიდებელი საქართველოს ერთადერთი ქართველი მუსლიმი გენერალია აჭარიდან. მეგობრობდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან. მონაწილეობა უნდა მიეღო 1924 წლის აჯანყებაშიც, თუმცა, მან ეს ვერ შეძლო, რადგან მოულოდნელად გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ ის მოწამლეს.

მემედ აბაშიძე - ქართველი საზოგადო მოღვაწე, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ხელმძღვანელი. უდიდესი როლი შეასრულა აჭარის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1881 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი სკოლა გახსნა ბათუმში. მემედი ამ სკოლის დასრულების შემდეგ გახდა პირველი ადგილობრივი მასწავლებელი, რომელიც რელიგიას (ისლამს ქართულ ენაზე) და ხატვას ასწავლიდა. ის რელიგიურ სასწავლებელში მედრესეებშიც მიიწვიეს რელიგიის მასწავლებლად და აქაც სწავლებას ქართულად ახორციელებდა, რითაც მოსწავლეებს ეროვნულ სულისკვეთებას უნერგავდა. მისი ინიცი-ზატივა იყო ყურანი თარგმნილიყო ქართულად, რათა მორწმუნეებს ქართულად, მშობლიურ ენაზე ესწავლათ ის. მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ იმ პერიოდის ცნობილი მოღვაწეები, რომლებიც საქართველოს ერთიანობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობდნენ. ამან დიდი გავლენა მოახდინა მემედის მსოფლმხედველობაზე. მას, ასევე, აწუხებდა საკითხი რელიგიისა და ეროვნების გაიგივების თაობაზე. მემედ აბაშიძე აქტიურად იბრძოდა ქართველთა შორის რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებების მცდელობების წინააღმდეგ. 1920 წელს მემედ-ბეგმა ბათუმში გახსნა გოგონათა და ვაჟთა პანსიონები, სადაც ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ხელშეწყობით აჭარის სხვადასხვა სოფლიდან მოსწავლეები საცხოვრებლით, საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფილი იყვნენ.

ჰაიდარ აბაშიძე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის[1] წევრი და პედაგოგი ბათუმის მეორე საჯარო სკოლაში. ის აქტიურად იბრძოდა ქართველი მუსლიმების უფლებების დასაცავად. ჰაიდარ აბაშიძე აქვეყნებდა სტატიებს პრესაში საქართველოსა და აჭარის შესახებ. აქტიურად ილაშქრებდა პანთურქიზმის წინააღმდეგ. ის აქტიურად წერდა ქრისტიან და მუსლიმ ქართველთა დაახლოების აუცილებლობაზე და ქართველ მუსლიმთა შორის საგანმანათლებლო დონის აწევის აუცილებლობაზე. მისი შემოქმედების მთავარი მახასიათებელია ეროვნებისა და რელიგიის გამიჯვნა. მას მიაჩნდა, როცა გეკითხებიან ეროვნებას, უნდა უპასუხო ეროვნება და არა „სჯული“, როგორც ეს ქრისტიან ქართველებშია მიღებული. კითხვაზე: ვინ ხარ? ისინი პასუხობენ - ქართველი და არა ქართველი ქრისტიანი. ამგვარად უნდა მოიქცეს ქართველი მუსლიმიც - წერდა ჰაიდარ აბაშიძე. მისი ინიციატივით ბათუმში გაიხსნა 6 ქართული სკოლა. მან დედამისის სახლ-კარი, სოფელ სალიბაურში, უსასყიდლოდ დაუთმო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა იქ გაეხსნათ სკოლა. ჰაიდარი აქტიურად იბრძოდა მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა და მიწების გლეხობისთვის გადაცემისთვის. ის არის ერთადერთი ქართველი მუსლიმი, რომელიც განისვენებს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ფერიდე ნიჟარაძე - საზოგადო მოღვაწე, სამოქალაქო უფლებების დამცველი აქტივისტი, პირველი მუსლიმი იურისტი ქალი აჭარაში. მის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები. ფერიდე 4 წელი ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც სწავლობდა ლომონოსოვის უნივერსიტეტში. სწორედ აქ მიიღო იურიდიული განათლება. აჭარაში დაბრუნების შემდეგ, ის გახდა პირველი აჭარელი პროკურორი ქალი და იუსტიციის მინისტრის მოადგილე. დიდი პერიოდი დაჰყო აჭარის მიუსაფარ ბავშვთა სახლის დირექტორის თანამდებობაზე, სადაც ბავშვებს დედობრივ მზრუნველობას უწევდა. ფერიდე დადიოდა სოფლებში და ჭრა-კერვის სკოლებს ხსნიდა აჭარელი გოგონებისათვის. იმ პერიოდის საზოგადოებრივი და რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, აქტიურად, ჩაერთო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის აქტიურად იბრძოდა ქალთა უფლებებისა და თანასწორობისათვის ოჯახებში.

---

1. სამუსლიმანო საქართველოს გათავისუფლებული კომიტეტი - აჭარის საქართველოსთან შესაერთებლად, ქართველ მუსლიმთა მიერ შექმნილი ორგანიზაცია.